



„კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) 5 წლიან პროგრამას, რომელსაც ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). PROLoG-ის მიზანია მართლმსაჯულების გაძლიერება, სამართლიანობის უზრუნველყოფა, ასევე სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ადამიანის უფლებების დაცვა.

PROLoG-ის ფინანსური მხარდაჭერით ათამდე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, იურიდიული დახმარების და სტრატეგიული სამართალწარმოების გზით უზრუნველყოფს ქალების და უმცირესობების უფლებების დაცვას საერთო სასამართლოებში, საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში.

2015 წლის მაისიდან 2017 წლის ოქტომბრის პერიოდში იურიდიული კონსულტაცია გაენია 37,857 ბენეფიციარს, ხოლო წარმომადგენლობა 5,366-ს, ჩატარდა 185 ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრები რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის. წარმატებით დასრულდა 18 სტრატეგიული შინაარსის საქმე, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადამიანის უფლებათა მდგომარეობა და გაიზარდა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე შემდეგ საკითხებში:

რელიგიის თავისუფლება

- რელიგიური ორგანიზაციებისთვის სამლოცველოს მშენებლობის უფლების შეზღუდვა სააპელაციო სასამართლომ არაკანონიერად მიიჩნია და განმარტა, რომ რელიგიის სააგენტოს რეკომენდაცია არ შეიძლება იყოს რელიგიური ნაგებობის მშენებლობაზე ნებართვის გასაცემის წინაპირობა, რადგან კანონში ამგვარი მოთხოვნა არ არსებობს.

ქალთა უფლებები

- უზენაესმა სასამართლომ ფემიციდის საქმეებში, მსხვერპლის სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აღკვეთისა და მოქალაქეთა სიცოცხლის უფლების დასაცავად სამართალდამცავი ორგანოების მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო, სახელმწიფოს მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების პრაქტიკა დაადგინა.

ღმრთა პირთა უფლებები

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელიც სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს სისხლის გადასხმას უკრძალავდა და სახელმწიფოს განუსაზღვრა ვადა ახალი რეგულაციის მისაღებად.

პენალური მონაცემები

- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა რეგულაცია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ პერსონალური მონაცემები უვადოდ შენახვის შესაძლებლობას აძლევდა.

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დასაშვები გახდა ორგანოების გადანივრება ნათესაური კავშირის არ მქონე პირებს შორის.

წამების აჩივანა, შპჩაებისა და გაერთიანების თავისუფლება

- საქართველოს მთავრობამ ევროპული სასამართლოს წინაშე 2011 წლის 3 იანვრის ვეტერანთა აქციის მონაწილეების მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევა აღიარა და დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გადახდას დათანხმდა.

თავისუფლებისა და ხელშეხებადობის უფლება, წამების აკრძალვა, უხსოვლთა კოლექტიური ბაქვიების აკრძალვა

- ▶ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს მოქალაქეების გამოძევების და აღნიშნულ პროცესში მათ მიმართ განხორციელებულ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე რუსეთის ფედერაცია პასუხისმგებელ სახელმწიფოდ ცნო. რუსეთის ფედერაციას გარდაცვლილის ოჯახის წევრების სასარგებლოდ 40 000 ევროს და სამართალწარმოებისას გაწეული ხარჯის გადახდა დაეკისრა.

საარჩევნო უფლებები

- ▶ საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად ცნო კანონის ჩანაწერი, რომლებიც მოქალაქეს უკრძალავდა გამგებლის, მერის, ასევე საკრებულოს წევრის არჩევნებში მონაწილეობას, თუკი კანდიდატი არჩევნებამდე ბოლო ორი წლის განმავლობაში არ ცხოვრობდა საქართველოში.
- ▶ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ის ნორმები, რაც ახალი გამგებლის/მერის არჩევნისას ავტომატურად

უფლებამოსილებას უწყვეტდა გამგებლის ან მერის ყველა სამსახურის ხელმძღვანელს.

გათავისუფლებაზე საჯარო სამსახურიდან

- ▶ საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა საჯარო სამსახურის შესახებ კანონის ის ჩანაწერი, რომელის მიხედვითაც უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგება განაცდური ხელფასის ანაზღაურებისთვის აუცილებელი წინაპირობა იყო. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ, უკანონოდ გათავისუფლებული მოხელეები კომპენსაციას იმის მიუხედავად მიღებენ, ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტს თუ არა მათ შესაბამის პოზიციაზე აღდგენას.

უხსო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებები

- ▶ საქართველოს ეროვნული ბანკისა და სახალხო დამცველის აპარატისთვის მიმართვით, საქართველოში მცხოვრები ნიგერიის მოქალაქეებისთვის საქართველოს ბანკში პირადი ანგარიშის გახსნა შესაძლებელი უკვე შესაძლებელია. ამ და სხვა საბანკო უფლების რეალიზებას ისინი ვერ ახდენდნენ რასობრივი დისკრიმინაციიდან გამომდინარე, რადგან მათ მაღალი რისკის მატარებელ კლიენტებად მიიჩნევდნენ.

პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TIG)

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება (GTUC)

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)

საფარი

სტრატეგიული სამართალწარმოება არის მეთოდი, რომელიც განაპირობებს მნიშვნელოვან ცვლილებებს კანონმდებლობაში, პრაქტიკაში ან ხელს უწყობს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.